ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 16 ნოემბრის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 17 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 16 ნოემბრის მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 26

დ. ხარაგაული 16 ნოემბერი 2020 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ვარლამ ჭიპაშვილი- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე - საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე- ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე,

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

ნინო მაღლაკელიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო - სახაზინო განყოფილების უფროსი,

მაია ალავიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

საკრებულოს აპარატი:

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თამარ მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომელი,

თეა ბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა.

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 17 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N 50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: მაია ალავიძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N 50/12 განკარგულებაში „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: მაია ალავიძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო ზემოაღნიშნული პროექტების ძირითადი პარამეტრები და მიმართულებები (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2020 წლის 17 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენწისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე - 10.

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 17 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შესრულების შედეგების შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

დავით კიკნაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ შეკითხვები ბევრი აქვს, რომელსაც დასვამს საკითხის კომისიებში განხილვის დროს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2020 წლის 07 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:
მომხრე -10.
წინააღმდეგი - 0.
ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2020 წლის 07 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მაია ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N 50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის** თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2020 წლის 07 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2020 წლის 07 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მაია ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N 50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2020 წლის 07 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე - 10.

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2020 წლ ის 07 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს საკრებულოს 2020 წლის 17 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).
2. დამტკიცდეს საკრებულოს 2020 წლის 07 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე